საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/196 „4" ივნისი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/152 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის (დანართი 1) 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საგამოცდო კომისიის წევრის საქმიანობა კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ანაზღაურებადია. საგამოცდო კომისიის წევრთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება საგამოცდო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი